პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2017 წელი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის შესახვევის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, გაგრძელდეს პატარა ტბის ქუჩის შესახვევი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


485610
485640
485670
485700
4628610
4628580
4628550
N
1:500
X:485,683.362
Y;4,628,613.340
პატარა ტბის შესახვევი
X:492,436.864
Y:4,620,441.347

03|037

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

29.05.17 წ

№06/6220
29.05.17 წ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011767866347217

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 183595

23 / მაისი / 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 17 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M17008628 განცხადებით მომართა მოქალაქე მურთაზ ჯიქიამ (პ/ნ: 62001021478), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, გლდანის VIII მკ/რ , პატარა ტბის I , შესახვევი (საკადასტრო კოდით N01.11.10.001.339).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.11.10.001.339) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი — დიმიტრი მახათაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 06/6220
"29" მაისი 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური წახაზი
ქალაქი თბილისი
უსახელო ქუჩა

N

განცხადების ნომერი	N M17008628
მომზადების თარიღი	23.05.2017



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი — უსახელო ქუჩა